EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე
2014 წლის ნოემბერი

კრუშკიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Kruskic and Others v. Croatia)
(საჩივარი- 10140/13)
განჩინება, 25 ნოემბერი, 2014

მე-8 მუხლი

ფაქტები – საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, პირველი და მეორე მომჩივანი იყვნენ მესამე და მეოთხე მომჩივნების ბებია და ბაბუა. ბავშვები დაიბადნენ, შესაბამისად, 2006 და 2005 წლებში. 2008 წელს ბავშვების დედამ, ხოლო 2011 წელს მათმა მამამ დატოვეს სახლი, სადაც ისინი ოთხივე მომჩივანთან ერთად ცხოვრობდნენ. დავა წარმოიშვა ბებია-ბაბუასა და მამას შორის მეურვეობასა და ბავშვების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ეროვნულმა სასამართლოებმა მეურვეობა საბოლოოდ მიანიჭეს მამას, რომელიც ბავშვებთან 2013 წლიდან ცხოვრობდა.

რაც შეეხება იმ გარემოებას, ჰქონდა თუ არა ბებიასა და ბაბუას *Locus standi* ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი წარედგინათ შვილიშვილების სახელით: ბავშვების მშობლებს არასდროს ჩამორთმევიათ მშობლის უფლება-მოვალეობები, გარდა ამისა, ბებია-ბაბუას არ დაკისრებიათ ბავშვებზე მეურვეობა, არც რაიმე სხვა ფორმით არ იყვნენ ისინი ფორმალურად მათზე მინდობილი. უფრო მეტიც, 2013 წლის დეკემბერში ეროვნულ სამართალწარმოებაში ბავშვები წარმოდგენილნი იყვნენ *ad litem* მეურვით. ეროვნული სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, ბებია-ბაბუას ჰქონდა, სულ მცირე, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი თავიანთ შვილიშვილებთან. ამგვარად, საქმის კონკრეტულ გარემოებებში ბებია-ბაბუა არ იყო აღჭურვილი თავიანთი შვილიშვილების სახელით საჩივრის წარდგენის უფლებით.

დასკვნა: დაუშვებელი (შეუთავსებელი *ratione personae*).

სამართალი - მე-8 მუხლი: შესაძლოა, „ოჯახური ცხოვრება“ არსებობდეს ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის იქ, სადაც მათ შორის არსებობს მჭიდრო ოჯახური კავშირები. წინამდებარე საქმეში, ბებია-ბაბუა შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობდა შვიდი და რვა წლის განმავლობაში [მათი ასაკის შესაბამისად], და ამგვარად, მათ შორის ურთიერთობა წარმოადგენდა „ოჯახურ ცხოვრებას“ მე-8 მუხლის მნიშვნელობით. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ გარემოებებში ბებია-ბაბუასა და შვილიშვილებს შორის ურთიერთობა არსითა და ხარისხით განსხვავდებოდა მშობელსა და შვილს შორის არსებული ურთიერთობიდან და ამრიგად, მისი ძირითადი არსიდან გამომდინარე, სარგებლობდა დაცვის ნაკლები ხარისხით. ბებია-ბაბუის უფლება შვილიშვილებთან ერთად ოჯახური ცხოვრების დაცულობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება უფლებას ბებია - ბაბუამ შეინარჩუნოს ნორმალური ურთიერთობა შვილიშვილებთან პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ასეთ ურთიერთობას ძირითადად ადგილი ჰქონდა მშობლის უფლებამოსილების განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით და შესაბამისად ბავშვის მშობლების დისკრეციას წარმოადგენდა.

სიტუაციებში, სადაც ბავშვები დატოვებულნი არიან მშობლის ზრუნვის გარეშე, მე-8 მუხლიდან გამომდინარე ბებია-ბაბუას შეუძლია, ოფიციალურად მოათავსონ შვილიშვილები მათი მზრუნველობის ქვეშ. მიუხედავად ამისა, წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით ვერ იქნება გამოყენებული ეს უფლება, რადგან არ შეიძლება საკამათო გახდეს ის, რომ შვილიშვილები მამამ მიატოვა, რადგან ის წავიდა მხოლოდ თვენახევრით და ბავშვების ბებია-ბაბუის მზუნველობის ქვეშ დატოვა. ვინაიდან მე-8 მუხლი არ შეიძლება განმარტებული იყოს იმგვარად, თითქოს ის ბებია-ბაბუას ანიჭებს მეურვეობასთან დაკავშირებულ რაიმე უფლებას, მეურვეობასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას.

დასკვნა: დაუშვებელი (აშკარად დაუსაბუთებელი).

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამდივნოს მიერ მომზადებული მოცემული მოკლე მიმოხილვა სასამართლოსათვის არასავალდებულოა.

იხილეთ აქ სასამართლო პრაქტიკის საინფორმაციო ბროშურები